№ 31

ოთხშაბათი, 11 თებერვალი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 31

ოთხშაბათი, 11 თებერვალი, 1898 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 8 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 9 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

12 თებერვალს, დილის 10 საათზედ სტატსკი სოვეტნიკის

## ილია ლაზარეს ძის სერებრიაკოვ-ოქრომჭედლიშვილის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს ქ. ტფილისს, დიდუბის წმ. ღვთის მშობლის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი.

(2—30—1)

14 თებერვალს, მეორმოცე დღეს გარდაცვალებისას

## ლიუბოვ როსტომის ასულის ქიქოძისას

გარდახდილ იქმნება ქ. ქუთაისს, ამაღლების ეკკლესიაში, რომელიც სასაფლაოს გვერდით იმყოფება, დილის 10 საათზედ, წირვა და პანაშვიდი.

(1—31—1)

## ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 11 თებერვალს,

**ბენეფისი**

## მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა

ქართულის დრამატიულის დასისაგან **ქნ. ბარბარე ავალიშვილისა და ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

I

## ორი ობოლი

მელოდრამა 5 მოქმედ. თარგ .ა. ცაგარლისა

II

## ადვოკატთან

ვოდევილი 1 მოქმ. გადმ. ვ. გუნიას-მიერ

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი **ქ. მესხი.**



უნაკლულოდ და სრულიად ჰნახავთ

**ქვეყანაზედ ყველაზედ დიდს მუზეის**

## შულცე-ზენკოვსკისას.

ღია ყოველ-დღე გოლოვინის პროსპექტზედ, მირიმანოვის სახლის ორს სართულში

ჩამოვიდა დანარჩენი განყოფილებანიც ოდედისა და მოსკოვისა

(5—28—3)

შესვლა ღირს 20 კაპ. დაწვრილებით აფიშებში

**ქართველთა წიგნების გამომც. ამხანაგობის გამგეობისაგან**

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში 14 თებერვალს, 1898 წ. საღამოს 8 საათზედ დანიშნულია

## საზოგადო კრება

ქართველთა ამხანაგობისა.

განსახილველი საგნები:

1. ანგარიში წარსულის 1895 წლიდგან.

2. არჩევანი ამხანაგობის წარმომადგენლისა (გამგესი), ხაზინადარისა და მდივნისა.

უცხო პირნი კრებას ვერ დაესწრებიან. ამხანაგობის წევრთ კერძო ბარათები არ გაეგზავნებათ.

(3—6.—1)

დოქტორი მედიცინისა

## ზ. ი. ქალანთაროვი

(ახლად მოსული ქ. ხარკოვიდგან)

იღებს ავადმყოფებს **შინაგანის სნეულებითა,** დილის 11—1 საათამდის და საღამოს 5—6 საათამდის.

სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, მირზოევის სახლი, № 1.

(10—23—6)

## მთავრობის განკარგულებანი

—

გადაყვანილ იქმნა: ყარსის მეციხოვნე არტილერიის შტაბს-კაპიტანი ხუციშვილი — კავკასიის სამთო ზურგის ჯარის საარტილერიო რაზმში.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან ავადმყოფობისა გამო დაღესტანის ოლქის ავარის ნაწილის უფროსის თანაშემწე, კოლეჟსკი სოვეტნიკი თავადი შალიკაშვილი მუნდირით.

## ახალი ამბავი

—

*** დღეს, ჩვენის ნიჭიერის არტისტ ქალის ქ-ნ მ. მ. საფაროვ-აბაშიძის საბენეფისოდ ქართულ თეატრში დრამატიული დასის მიერ წარმოდგენა იქმნება გამართული. ითამაშებენ ხუთ-მოქმედებიან მელოდრამას „ორ ობოლს“. ამ წარმოდგენაში, მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე არსტისტი-ქალები ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა და ავალიშვილისა, რომელნიც ამ სეზონში პირველად თამაშობენ ტფილისის სცენაზედ. პიესა „ორი ობოლი“ არა ერთხელ წარმოუდგენიათ ქართულ სცენაზედ, მაგრამ ქ-ნნი საფაროვ-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა და ავალიშვილისა ისე ხელოვნურად ასრულებენ თავიანთ როლებს, რომ საზოგადოება მუდამ ბლომად ესწრება ხოლმე ამ წარმოდგენას. ეჭვი არ არის, დღესაც თეატრი სავსე იქმნება ხალხით. „ორ ობოლს“ გარდა წარმოადგენენ ერთ-მოქმედებიანს სასაცილო ვოდევილს „ადვოკატთან“.

*** გუშინ, 10 თებერვალს, ქალაქის გამგეობის დარბაზში ფიცი მიიღო ქალაქის მოურავმა გ. ევანგულოვმა. დაესწრნენ: გამგეობის წევრნი: ე. ხოსროევი, ა. ივანენკო და ქალაქის გამგეობის სხვა მოხელენი. გამგეობის წევრმა ივანენკომ გადასცა ახალს მოურავს ჯაჭვი—ნიშანი მოურავის თანამდებობისა. გ. ევანგულოვმა დაიკიდა რა ეს ჯაჭვი, მიჰმართა გამგეობის მოხელეებს სიტყვით და სხვათა შორის სთქვა: თუმცა იმედი მაქვს, რომ ყველა თქვენგანმა კარგად იცის თავისი მოვალეობა, მაგრამ მაინც ჩემს მოვალეობად ვთვლი შეგატყობინოთ, რომ მოგთხოვთ ზოგიერთ იმ მოვალეობის ასრულებას, რომლის აუსრულებლობა უწან შემიმჩნევია. გთხოვთ, გამგეობაში მიღებული ქაღალდი დაუყოვნებლივ ჩაწერილი იყოს წიგნში, მოხსენდეს გამგეობის წევრს ან მოურავს და შემდეგ მიეკეროს საქმეს და მთელის წლობით არ ეგდოს მიუკერებელი. გთხოვთ აგრეთვე, რომ გამგეობის ქაღალდები და საქმეები კერძო კაცს არ მიეცეს, რაც ერთხელ მე თითონ შევამჩნიეო. თავისის მხრივ ახალმა მოურავმა აღუთქვა გამგეობის მოხელეებს, ვიზრუნავ თქვენის ინტერესებისათვის და ყოველთვის დაგეხმარებით ხოლმე საბჭოს წინაშეო.

*** კავკასიის სამკურნალო ნაწილის მმართველობამ უკვე შეიმუშავა პროექტი ინსტრუქციისა ამიერ-კავკასიის ყვავილის ამცრელთათვის, რომელიც კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ მოიწონა და ამ დღეებში შინაგან საქმეთა სამინისტროს წარედგინება განსახილველად.

*** ორშაბათს, 9 თებერვალს ტფილისის ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ განიხილა ქალაქის საბჭოს გარდაწყვეტილება მუდამ წელს 30,000 მან. გადადების შესახებ მომავალ პოლიტეხნიკუმისათვის და 4 ხმით 2 წინააღმდეგ დაამტკიცა.

*** კვირას, 8 თებერვალს, კრება ჰქონდა ტფილისის საბჭოსთან დაარსებულს საპოლიტეხნიკუმო კომისიას. თავმჯდომარემ ა. ა. ივანენკომ და თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკიმ კომისიას მოახსენეს თავიანთ მოლაპარაკების ამბავი მთავრობასთან. კომისიის წევრმა გ. მ. თუმანოვმა თავის მოგზაურობის ამბავი ქ. ბაქოში, სადაც იმას უნახავს ნავთის მწარმოებელთა კრების საბჭოსი და ქალაქის წარმომადგენლები და ლაპარაკი ჰქონია იმისს შესახებ, რა დახმარებას აღმოუჩენენ მომავალს პოლიტეხნიკუმს. კომისიამ ბაქოელებთან მოლაპარაკების განგრძობა მიანდო კ. მ. ალიხანოვს, ბათუმისა და ქუთაისის წარმომადგენლებთან-კი გამგეობის წევრს თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკს.

*** ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციას განზრახვა აქვს იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ 8,000 მან. გადადებულ იქმნას საქონლის ჭირთან საბრძოლველად.

*** როგორც რუსეთის მკვიდრთა აღმწერელ კომისიის უკვე გამოქვეყნებულ სასტატისტიკო ცნობებიდგანა სჩანს კავკასიის გუბერნიებსა და ოლქებს შორის ყველაზედ მჭიდროდ დასახლებული ყოფილა ერევნის გუბერნია (34,6), შემდეგ ქუთაისისა (33,5), ტფილისისა (26,6), ყუბანისა (23,5), ბაქოსი (22,9), დაღესტნისა (22,4), განჯისა (22,4), ყარსისა (17,9), სტავროპოლისა (16,6), თერგისა (15,3) და შავის ზღვის პირის გუბერნია (8,4). გარდა ამისა, კომისიის ცნობებიდგანა სჩანს, რომ კავკასიაში ყველგან მამაკაცი უფრო ბევრია, ვიდრე დედაკაცი, როგორც საშუალო აზიაში, სადაც მამაკაცთა რიცხვი სჭარბობს დედაკაცთა რიცხვს

*** ოთხშაბათს, 11 თებერვალს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ კავკასიის სააბრეშუმო სადგურში გამართულ იქმნება საუბარი „ყაჭის ჭიის წესიერად დაზინავების შესახებ“.

*** მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებულმა ნება დართო „Изв. кав. шел. стан.“ გამოცემა, რომელიც კავკასიის საბრეშუმო სადგურის გამოცემის „Трудъ“-ის დამატებად გამოვა. „Извѣстія“ გააცნობს ხალხს კავკასიის საბრეშუმო სადგურის მოქმედებას და ყოველ-გვარ საგანს აბრეშუმეულობის შესახებ.

*** ამას წინად ტფილისის რუსულს გაზეთებში იყო დაბეჭდილი და გუშინ-კი „ტფილ. ფურცელშიაც“, რომ ვითომც ტფილისის მაზრის სოფ. დიდ-თონეთში მძვინარებდეს ხუნაგი და მომკვდარიყოს 50 ბავშვი. როგორც ნამდვილად შევიტყეთ, ეს ცნობა სიმართლეს მოკლებულია. დიდ-თონეთში ხუნაგი სრულიად არა ყოფილა და არც ერთი ბავშვი არ მომკვდარა. 8 ამ თვეს ადგილობრივი ბოქაული გუგუშვილი და გუბერნიის ექიმის თანაშემწე ბ-ნი მაჭავარიანი ს. დიდ-თონეთში იყვნენ, ბ-ნს მაჭავარიანს ერთი ბავშვიც არ დაუტოვებია შეუმოწმებლად, როგორც მოსწავლენი ადგილობრივის „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასწავლებლისა, აგრეთვე მთელი სოფლის ბავშვები, მაგრამ არც ერთი ავადმყოფი არ გამოჩნდა თურმე და არც ყოფილა, მხოლოდ წინად რამდენიმე ბავში ყოფილა ავად ქუნთრუშით, მაგრამ ეს სენიც მოსპობილა და ამ იანვრის ოციდგან შემთხვევა არ ყოფილა ვისისამე ავად გახდომისა. ბ-ნმა მაჭავარიანმა, ამას გარდა, რამდენსამე ავადმყოფს, რომლებიც დიდიხანია ლოგინად არიან ჩავარდნილნი, უსასყიდლოდ შემწეობა აღმოუჩინა თურმე, რისათვისაც, რასაკვირველია, დიდის მადლობის ღირსია.

*** განჯიდგან დეპეშით ატყობინებენ გაზ. „ახ. მიმ.“, რომ 9 თებერვალს პოლიციამ შეიპყრო ცნობილი ავაზაკი სოიუნიო.

*** გაზ. „ტფ. ფურც.“ სწერენ პეტერბურგიდგან, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკანასკნელად გადასწყვიტა დაარსებულ იქმნას ქუთაისის გუბერნიაში ოთხი სასოფლო ქსენონიო.

*** იმავე გაზეთის სიტყვით, კავკასიის მთავარ მართებელმა გადასწყვიტა ნება დაერთოს ავჭალის სახალხო საკითხავების სადგომში ადგილობრივს ენებზედ სახალხო წარმოდგენების გამართვისა, მხოლოდ იმ პირობით, რომ წინდაწინვე წარუდგინონ განსახილველად და დასამტკიცებლად სია იმ პიესებისა, რომელსაც წარმოადგენენ.

*** ქ. განჯა. 11 იანვარს აქაურმა ქართველობამ გადიხადა პანაშვიდი ქართულ ენაზედ ჩვენის დაუვიწყარის გმირთა-გმირის მეფის ერეკლე II-ის სულის მოსახსენებლად. 14 იანვარს, ნინოობას იყო წირვა ქართულ ენაზედ, მაგრამ რაკი აქაურ ქართველობის უმეტესობა სამსახურში იმყოფება, ამისათვის ბევრმა ვერ მოასწრო წირვაზედ დასწრება.

⁂ 8 თებერვალს, ღამის 10 საათზედ, ბუღდანოვის დუქანში ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებელთ აკაკი ლორთქიფანიძემ და ალექსანდრე ცენარაძემ, მთვრალებმა, დაამტვრიეს 100 მან. სხვადასხვა ჭურჭელი. ამასთან ცენარაძემ დანით დასჭრა ხელში და ფეხში მედუქნე ბუღდანოვი. პოლიციამ შესაფერი ოქმი შეადგინა.

⁂ შობის დღესასწაულების დროს დარბაზობის გარდახდის მაგიერ ხელის მოწერა იქმნა გამართული მ ავარ-მართებლის კანცელარიის მოხელეთა შორის და ამგვარად მოგროვდა 376 მან., რომელიც გარდაეცა ტფილისის წმ. ნინოს სასწავლებელის გამგეობას ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებლად.

⁂ 9 თებერვალს ღამით მე-8 და 9 ნაწილის დუქნებსა, ლუდხანასა და ჩაიხანებში პოლიციამ 43 უბილეთო კაცი დააპატიმრა და თავიანთ სოფელში გაჰგზავნა.

⁂ ამ ჟამად ქალაქის გამგეობა მოხსენებას არდგენს იმის შესახებ, რომ ტფილისში ეზოების განსაკუთრებული დარაჯები იქმნეს შემოღებული ისე, როგორც აღნიშნულია პოლიცმეისტერის ლ. პ. მასტიცკის პროექტში, რომელიც 1891 წელს წარედგინა გუბერნატორს და შემდეგ ქალაქის გამგეობას გარდაეცა.

⁂ მეტად გაუგებარი მკვლელობა მომხდარა ამ რამდენისამე დღის წინად ქალაქის პირველ ნაწილში, ვერაზედ. აი, ამ მკვლელობის გარემოებანი: 4 თებერვალს ტფილისის მოქალაქის ცოლს ავდოტია ალექსანდრეს ასულს რეშეტნიკოვს პოლიციაში გამოუცხადებია, რომ ჩემი ქმარი უეცრად გარდაიცვალაო. მიცვალებულის გვამი მიხეილის საავადმყოფოში წაიღეს, სადაც ექიმებმა გასინჯეს და აღმოაჩინეს, რომ რეშეტნიკოვი ცემისაგან მომკვდარაო. განსვენებულს გვერდები ჰქონია ჩამტვრეული. ამის გამო პოლიცია გამოძიებას შესდგომია. განსვენებულის ცოლს პოლიციაში გამოძიების დროს განუცხადებია, რომ ჩემს ქმარს 1 თებერვალს იარმუკაზედ ძალიანა სცემეს, ასე რომ ავადმყოფობა დაიწყო. შემდეგ 4 თებერვალს, მტკვარზედ წავიდა, არტილერიის „ბალკის“ დაღმართზედ ფეხი დაუცურდა და ძირს დაგორდა, ამასთან გული საშინლად იტკინაო. პოლიციამ საეჭვოდ იცნო ეს ნაამბობი და უფრო გულმოდგინეთ შეუდგა საქმის გამორკვევას. შემდეგ პოლიციელმა გაიდუკოვმა, რომელიც ამ საქმეს იძიებდა, შეიტყო, რომ მკვლელობაში წილი უძევს, რეშეტნიკოვის ცოლისა და შვილის ეგორ რეშეტნიკოვის გარდა, ვიღაც იაგორ მელქუმოვსაცაო, მაგრამ დაწვრილებით ვერაფერი შეიტყო. ბოლოს რეშეტნიკოვის ერთის მეზობელის ქალის ჩვენების წყალობით ყველაფერი გამოირკვა. ამ მოწმის ჩვენებიდგან აღმოჩნდა, რომ მამა და შვილი ნაჩხუბრები ყოფილან. საღამოზედ, როდესაც რეშეტნიკოვი დაბრუნებულა შინ, ცოლი, შვილი და ტფილისის მოქალაქე იაგორ მელქუმოვი დახვედრიან ვახშმად მსხდომნი. ცოლსა და ქმარს ჩხუბი მოსვლიათ, ცოლს შვილი და მელქუმოვი მიჰშველებიან, წაუქცევიათ რეშეტნიკოვი და ცემა დაუწყიათ. შემდეგ გაიდუკოვს გაუსინჯავს სახლი და იქ სისხლის კვალი ჯერ კიდევ დარჩენილი ყოფილა, ყველა ამის გამო რეშეტნიკოვის ცოლი, შვილი და მელქუმოვი დააპატიმრეს, თუმცა სამნივე უარს ამბობენ, არ ვიცით ვინ მოჰკლა რეშეტნიკოვიო.

## ქალაქის საბჭო.

9 თებერვალი.

კრება დაიწყო $8^1/_2$ საათზედ. საბჭომ მოისმინა იმ აღმასრულებელის კომისიის მოხსენება, რომელსაც ცხენის რკინის გზის გამოსყიდვის საქმე აქვს ჩაბარებული. კომისია თხოულობს, რომ სხვა ახალი კომისია იქმნას არჩეული ამ საქმისათვის, რადგანაც ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოებამ ახალი გარდასაწყვეტი საგნები წამოაყენა და მარტო ჩვენ ვერ გაუძლვებით ამ საქმესაო.

თავმჯდომარე. ეს კომისია საბჭომ უსახელო საზოგადოების დავთრების სარევიზიოდ აირჩია, მაგრამ როდესაც კომისიამ დავთრები მოითხოვა, საზოგადოების გამგემ განაცხადა, რომ ყველა დავთრები ბელგიაში არისო და დავიბარებთო. შემდეგ ბევრი დრო გავიდა, მაგრამ საზოგადოება სულ იმას გვეუბნებოდა, რომ დავთრები არ მიგვიღიაო. ამ რიგად საზოგადოება ყოველ ღონესა ჰლონობდა, რომ კომისიას დავთრების რევიზია არ მოეხდინა. ბოლოს გამოგვიცხადეს, რომ ხელ-შეკრულების ძალით ქალაქს მხოლოდ ცხენის რკინის გზის ლიანდაგის გამოსყიდვა შეუძლიანო და სხვა არაფრისაო. ეხლა საჭიროა იურისტთა კომისია ამოვარჩიოთ, რომელმაც უნდა გამოარკვიოს მართლა მარტო ლიანდაგი, უვაგონებოდ, უცხენებოთ შეგვიძლიან გამოვისყიდოთ, თუ სხვა რამეც. ხელ-შეკრულებაში ნათქვამია: „ქალაქს შეუძლიან გამოისყიდოს ცხენის რკინის გზაო“. იურისტთა უნდა გამოარკვიონ ეს საგანი.

ხმ. ა. ბ. ქვანგულოვი. ჩვენ აგვირჩიეს იმ კომისიის წევრებად, მაგრამ როგორც უკვე მოხსენებიდგან შეიტყეთ, ვერაფერი გავაწყეთ უსახელო საზოგადოებასთან. ისინი გვეუბნებიან, მარტო ლიანდაგი შეგიძლიანთ გამოისყიდოთო და ჩვენ-კი არაფერი ვუწყით, მართალია ეს, თუ არა. ამიტომ საჭიროა ამის გამოსარკვევად კომისია ავირჩიოთ.

ხმ. მ. ი. თამამშევი. ეხლა მხოლოდ იმის შესახებ უნდა ვილაპარაკოთ, როგორ ვაიძულოთ უსახელო საზოგადოება, რომ ჩვენ კომისიას თავისის დავთრების რევიზიის ნება მისცეს.

ხმ. არღუთინსკი-დოლგორუკი. თუ საზოგადოებას არ უნდა დავთრები გაასინჯოს კომისიას, მაშინ ამ უკანასკნელმა ოქმი უნდა შეადგინოს და საჩივარი დაიწყოს.

ხმ. ა. ბ. ქვანგულოვი. ჩვენ ნოტარიუსის ხელით ქაღალდი გავუგზავნეთ უსახელო საზოგადოებას. (თავმჯდომარემ წაიკითხა ეს ქაღალდი).

ხმ. ა. ს. ბაბოვი. გამგეობამ წინდაწინვე შეატყობინა საზოგადოებას, რომ კომისიამ დავთრების რევიზია უნდა მოახდინოს?

თავმჯდომარე. შევატყობინეთ. (ეს ქაღალდი წაიკითხა თავმჯდომარემ).

ხმ: ა. ს. ბაბოვი. მე მაინც კიდევ არ ვიცი.

გამგ. წევრი ხოსროევი. (აწყვეტინებს) ხომ გაიგონეთ, რომ გამგეობამ შეატყობინა საზოგადოებას, ეხლა რაღა გინდათ, ვერაფერი გამიგია.

ხმ. ა. ს. ბაბოვი. თქვენ ბევრი რამ არ გაგეგებათ.

შემდეგ თავმჯდომარემ წაიკითხა უსახელო საზოგადოების საპასუხო წერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ ქაღალდები გადავეცით კომისიას სარევიზიოდაო.

ხმ. ა. ს. ბაბოვი. კომისია ამბობს, რომ დავთრები არ მოგვცესო, დირექტორი კი სულ სხვას იწერება. მართალია, კომისია იმასაც ამბობს, რომ რაღაც ქაღალდები მოგვცეს, რომლიდგანაც კაცი ვერაფერს გაიგებდაო, მაგრამ, ჩემის აზრით, კომისიას სწორედ ეს ქაღალდები უნდა გაეჩხრიკა.

ხმ. არღუთინსკი-დოლგორუკი ნ. ქ. ხმ. ბაბოვი მეტად მოწყალედ ექცევა უსახელო საზოგადოებას და კომისიას-კი მკაცრად. უსახელო საზოგადოება ვალდებული იყო დავთრები წარედგინა.

ხმ. ა. ს. ბაბოვი. ხმ. არღუთინსკი—დოლგორუკის სიტყვების გამო მე წინაადმდეგობას ვაცხადებ. ცილსა მწამებს, ვითომ მე საზოგადოებას ვემხრობოდე. პირ იქით, პირველმა მე დავიწყე ლაპარაკი ცხენის რკინის გზის გამოსყიდვის შესახებ.

ხმ. არღ.—დოლგორუკი. ხმ. ბაბოვმა სულ სხვა ნაირად გაიგო ჩემი სიტყვები. მე მაგის თქმა არ მინდოდა.

ბოლოს საბჭომ დაადგინა: მივიღოთ მხედველობაში ყველა ის დაბრკოლება, რაც კომისიამ გამოიარა, და ვთხოვოთ კომისიას, რომ ისევ განაგრძოს დავთრების რევიზია. ამასთან საბჭომ მიანდო გამგეობას წარმოადგინოს მოხსენება იმ კომისიის არჩევის შესახებ, რომელსაც ხსენებული აღმსრულებელი კომისია თხოულობს.

შემდეგ საბჭოს უნდა განეხილა ახალი პროექტი ქუჩების მოკირწყვლის და შენახვის შესახებ, მაგრამ ზოგიერთა ხმოსნებმა მოითხოვეს, რომ ეგ საგანი ძნელია, ჯერ მოვიფიქრებთ და შემდეგ განვიხილოთო და საბჭომაც ეს მეორედ გადასდო ამ საგნის განხილვა.

## თეატრის მატიანე

„ა. კაზაიანი“, 5 მოქმედებიანი დრამა, გადმოკეთებული სუმბათაშვილის დრამიდგან „არკაზანოვების ოჯახი“ კ. მესხის მიერ.

რეჟისორმა ქართულის თეატრისამ პატივცემულმა კ. მესხმა თავისს საბენეფისოდ აირჩია სუმბათაშვილის პიესა „ა. კაზაიანი“, ანუ „არკაზანოვების ოჯახი“. ხალხი ბლომად შეიკრიბა მობენეფისეს პატივსაცემლად და არტისტებიც ბევრს ეცადნენ, რომ პიესას უნაკლულოდ ჩაევლო. ცოტად თუ ბევრად ეს კიდეც მოახერხეს. მთავარ მიზეზად იმისა, თუ ზოგიერთი არტისტი ვერ ასრულებდა შესაფერად თავისს როლს, ის უნდა ჩაითვალოს, რომ „ა. კაზაიანი“ ქართული პიესაც იყო და არც იყო. ესე იგი, „ა. კაზაიანი“ პირდაპირ ნათარგმნი პიესა იყო, იქნება შიგა-და-შიგ შემოკლებით, და არა „გადმოკეთებული“. ცხოვრება, ხასიათები პიესისა რუსული იყო, ხოლო სახელები მომქმედთა და ადგილებისა ქართული. ამიტომ არტისტებმა არ იცოდნენ, ქართველი წარმოედგინათ სცენაზედ, თუ რუსი. ამის გამო გამოვიდა ის, რასაც რუსულად ეტყვიან: „смѣсь французскаго съ нижегородскимъ“. ამიტომვე ისეთი ნიჭიერი არტისტი-ქალი, როგორიც ბრძანდება ქ-ნი ჩერქეზიშვილისა, იმ დღეს ვერ ახერხებდა თამაშს: არ იცოდა რუსი იყო, ქართველი, თუ სომეხი.

შინაარსი პიესისა ამოღებულია მიმდინარე ცხოვრებიდგან, დაწერილია, რომ იტყვიან, „დღიურ ვარამის“ გამო. აქ არის ჩინებულად დასურათ-ხატებული, თუ ვითარის სისწრაფით ფეოდალობა რუსეთისა იხრწნება, ეცემა, ჰკარგავს არა თუ თავისს მამა-პაპურს გავლენას და რიხს, არამედ უკანასკნელს სახსარსაც ცხოვრებისას და ხდება მსხვერპლი ა. კაზაიანებისა, ჩარჩვაჭრებისა და ბურჟუაზიისა. ამ წოდების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ბრძოლის უკანასკნელ წამამდე არ ჰკარგავს მამა პაპურს პატიოსნე-

## ფელეტონი

**დ ღ ე ო ბ ა**

(მოთხრობა)

(შემდეგი *)

— სწორეა ვაკეზე, ჩხვინკავ, სწორეა. აბა დაფქვი კიდე, თორე თუ საფანელი შამოგაკლდა და გაჰჩუმდი, მგზავრებსაც მოგვეწყინება და ღერძ-გატეხილ წისქვილივით მოვიშლებით მუხლებში, რადგანაც შენითანა ადამიანის გულ-გონების გამართობელი და დამაფიქრებელი მეტყველი იშვიათია, კიდევ თავი მოუქონეს ჩხვინკას.

— ნამდვილია, ამირან, ნამდვილი! ჩვენი ჩხვინკას სიტყვები კაცმა სუ ძვირფას თვალ-მარგალიტებივით უნდა ჩაიბეჭდოს გულ-გიანებაში და აიგრე ატაროს სიკვდილამდინ სამახსოვროდ,—კვერი დაუკრა მეორემაც.

— თავ-სიცილს კაცი არ მოუკლავ და მუცლის გვრემას-კი გაუხეთქნიაო, შენ და ამირანს რომ ემაგეთი კვილმიტი სიტყვაც არა გქონდეთ, აქამდინ თაგვები თავიანთ სოროში შაგათრევდნეჰ,—უპასუხა ჩხვინკამ და გააგძელა გაწყვეტილი სიტყვა: ჰო, ის უნდა მეთქვა, კაცებო, და ა ენა-მწარე მიკიოტებმა ნახტომი შამიშალეს: ი მგლის მუცელში გასაძვრენი პომპოლიკის სიდედრიც ლეჩაქ-მოხდილი უნამუსო იყო, სამი გათხოვილი ქალი კიდევ ჰყვანდა და ის სამნივენიც დედასავით უნამუსოები იყვნენ. ვაი დაღუპათ ღმერთმა, ნეტავი მითხრა: აიმათთანა სამგლე, ლეჩაქ-მოხდილი უნამუსოები ქვეყანაში როგორღა გამოდიან სირცხვილით!.. აი დედამიწა გაუსქდეთ ყველა აიმათთანებს და ჩაძვრნენ მიწაში, ჩაძვრნენ! ჩაძვრნენ! ჩაძვრნენ თავიანთ პუჰპუჰებიანი და რიკრიკებიანი კაბებით, რო იმათ არაფრისა ჰცხვენიანთ, და იმათ ბადლად ცაც-კი წითლდება სირცხვილით! უნამუსო ვირზე შასვეს და „ჰაჩი, ვირო“! დაიძახაო, ტყუილად კი არ უთქვამ ჩვენს მამა-პაპას. დაჰწყევლა ღმერთმა, კაცო, ი ოთხნივ ქალები დედას როგორ ჰგვანდნენ უნამუსობით, რატო ერთი მაინც არ იყო წმინდა წყლისა და რატო ერთს მაინც არ ედგა ქრისტიანის სული — ჩემი საკვირველი კიდე სუ ეს იყო, მინამ პომპოლიკთან მოჯამაგირეთ ვიყავ.

— საკვირველი რათ არი, შე კაი კაცო, ნათქვამია: ხემა დაისხა ხილიო, რაც დედაა, ის შვილიო; დედა ნახე, მამა ნახე, შვილი იგრე გამონახეო; კვიცი გვარზე ხტისო; ძაღლისა ბატკანი ვის უნახავო; წყალი სათავიდამ გაიშინჯებაო; ალხანამ ჩალხანა შობაო; ტასია და კეკელაო დედა-შვილნი არიანო, ორნივ ერთმანეთსა ჰგვანდნენ: ყველა შეიყვარიანო. ცერცვივით მიაყარეს ჩხვინკას აქეთ-იქიდგან.

— მაგას ხო რაღა თქმა უნდა, მაგრამ ერთი რა უნდა გაცინოთ, კაცებო. საწყალი პომპოლიკი გულსევდიანად იტყოდაყე თავისთვინ: ყველა ჭირის წამალი გაგიჩენია, დამბადებელო ღმერთო მაღალო, მაგრამ ეს-კი ვერაფერია, რომ სიყვარულიც ბალღივით ტყუვდება ხოლმე თავის არჩევანში, და ამის წამალი-კი ჯერაც არავინ იცის მთელს დუნიაზეო. იმ პომპოლიკის ცოლს ერთი დიდი ჭკვა-გონების პატრონი, სოლომონ ბრძენივით სწავლული, მძლავრად-მეტყველი და ენა-მდიდარი კაცი ჰყვარობდა, და იმ კაცმა უთხრა ერთხელ სადილზე ქარაფშუტა ცოლისაგან ღრმად დადარდიანებულ პომპოლიკს:

— ტყუილ-უბრალოდ ჰდარდობ, ჩემო კარგო, ადამ და ევადამ მოკიდებული მთელი ქვეყნიერობის სუყველა ქალ-მანდილოსნები ჭკვა მოკლე ქარაფშუტანი ყოფილან, უფრო მეტად ქარაფშუტანი არიან დღესაც და ჭკვა-მოკლე ქარაფშუტანივე იქნებიან ქვეყნის დასარულამდისო. თითონ ღმერთს მიუცა დედაკაცებისათვინ ჩიტის თვალის ოდენა სალი ტვინი, პაწაწინა გონება, მოკლე ჭკვა დ გძელი თმა, რადგანაც ღმერთზე წინეთ ჯოჯოხეთის სატანას ბზის ტომარასავით გაუტენია დედაკაცის თავი და გული უანგარიშო სიცრუესისულელითო. ვინ იცის, იქნება ღმერთს მეტი ჭკვა-გონების მიცემაც უნდოდა დედაკაცისათვინ, მაგრამ უფიქრნია: ხომ ვერ მოიხმარებს ჯოჯოხეთის სატანისაგან სიცრუე-სისულელით თავ-გულ-გატენილი, ხომ თავის კოპწიაობის ვერაგული ქარაფშუტობით და ცრუპენტელობით გაატიალებს და გააავერანებს, და სჯობს ისევ კაცის ჭკვა-გონებას მივუმატო დედაკაცისათვის მისაცემი ჭკვა-გონებაცაო. როგორ თუ შენ ამის თქმა გაჰბედე დედაკაცებზეო, პომპოლიკის ცოლი მეხის ღრუბელივით გასაზარკლდა, თოფ-მირტყმულ ვეფხვივით წამოხტა გააფთრებულ-გაცოფებული და ერთი მათლაფა მდუღარე ძროხის წვენი ზედ თავ-პირზე-კი გადაასხა თავისს გულის საყვარელს კაცს, რომლის უნახავად ერთს დღესაც ვერა სძლებდა და სულ გვერდით დაჰდევდა დედალი ტრედივით. აბა, მოდი და დედაკაცს ჭკვა სთხოვე! ნეტავი მაშინვე მაინც არ დაემტკიცებინა იმ ბრძენი კაცის ნალაპარაკები: აი, მართლაც, დედაკაცებს ჭკვა მოკლე გვაქ და თმა გძელიო!.. როცა კი იმ საყვარელ კაცს ვერა ჰხედავდა ჩვენი პომპოლიკის ცოლი, სუყველა იმისთვინ ჯოჯოხეთი იყო, ანთებულ საკირეში ჩავარდნილ ქალმის ჯყანივით იხრუკებოდა საყვარლის უნახავობით და იგრე პირ-ბნელად და პირ-ქუშად მოღრუბლული იყო, როგორც მარტის ჯანღ-ნისლიანი, შავ-ბნელი საღამო, და როცა დაინახავდა თავის საყვარელს, მაშინ-კი ციდამ მოწყვეტილ გარიჟრაჟის ცისკარივით ენთებოდა და სიხარულით იგრე ყვაოდა იმისი სახე-თვალები, როგორც ლალანა მაისის დილა! და აი ეგეთს თავის მეგულისპასუხეს, თავის გულის საყვარელს კაცს მდუღარე ძროხის წვენით კი გაუთუთქა თავ-პირი გასაცქვლეფ ღორივით:

*) იხ. „ივერია“ № 30.

ბას და რაინდულს სიამაყეს... მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ბურჟუა ამისთანა თვისებას „ანაქრონიზმს“ უწოდებს; მისის აზრით, ფულია „პატარა ღმერთი“, მან უნდა იყიდოს ნამუსიც, სახელიც, დიდებაც და სამწუხაროდ ხშირად ეს წადილი უსრულდება კიდეც.

თვით მობენეფისე შეუდარებელი იყო ამ საღამოს. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ იშვიათის თანხმობით წარმოადგინეს „ა. კაზაიანი“.

მ—გ

## წერილი თიანეთიდგან

ყურის მიყრუება, დაუდევრობა და ამის გამო წარმომდგარი უწეს-რიგობა თუ კერძო საქმეშიაც-კი აუტანელი და მაზარალებელია, საზოგადო საქმეში დასაგმობი და უეჭველად გასაკიცხია. ქართველებს ხშირად გვიგემია დაუდევრობისაგან მოვლენილი სიმწარ-სიმჭამე და არა გვგონია დღეს ჩვენში მოიპოვებოდეს ისეთი კურთხეული კუთხე, სადაც ამა თუ იმ საერთო საქმეს უდროოდ და გაუფურჩქვნელადვე ბოლო არ მოღებოდეს სწორედ ამ გულგრილობის წყალობით.

ამიტომ ყველას გვმართებს ფხიზლად და ბეჯითად მოვეპყრათ საზოგადო საქმეს, რომ საზოგადოების ნდობა სიფრთხილითა და ჯეროვანის პატივით შევინარჩუნოთ. თიანეთის სავაჭრო ამხანაგობის გამგენი და რევიზიის წევრნიც-კი, არ ვიცით რად იგდებენ ასე აბუჩად საზოგადოების ნდობას?! ამხანაგობის წლიური ანგარიში და რევიზია უნდა მომხდარიყო პირველს იანვრისათვის. რევიზორნი წარსულს დეკემბრის 26-ს კიდეც შეუდგნენ თავის საქმეს და აგერ მეორე თვე მიდის მას შემდეგ, რომ მიყუჩდნენ და აღარა ისმისრა საქმიანობისა.

არა საქმიანობენ ბ.ბ. რევიზორნი, გამგეთაც მოიყრუეს ყური და ამხანაგობის წევრთ წლიურს ანგარიშს არ ურდგენენ, თუმცა დანიშნულ ვადას ერთმა თვემ გადააჭარბა.

იმედია, როგორც საქმის გამგენი, აგრეთვე რევიზორნი ააჩქარებენ მათდა მინდობილ საქმის დაბოლოვებას და ამით, როგორც თვით საქმეს, აგრეთვე იმის მონაწილეთ, ყოველს ეჭვს გაუფანტავენ და საქმის მიმართ შერყეულს ნდობას კვლავ აღუდგენენ...

ი. კახელი

# რუსეთი

—

ამ დღეებში საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ დედათა საშუალო სასწავლებლების მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთ წოდების განურჩევლად უვადო საპასპორტო წიგნაკები უნდა მიეცეთ ხოლმე უმახლობელესს სამოსწავლო მთავრობისაგანაო.

— უმაღლესს სასულიერო მთავრობას განზრახვა აქვს ზოგიერთ ეპარქიაში ახალი ორი წლის კურსიანი სასწავლებლები დააარსოს. სასწავლებელმა უნდა მოამზადოს მასწავლებლები სამრევლო სასწავლებელთათვის და მედავითნეებს შეასწავლოს საეკკლესიო გალობა.

— ეკატერინოსლავის სასამართლო დაწესებულების მოხელეთა შორის ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ დავაარსოთ ისეთი გიმნაზია, რომლის მოსწავლეთ საიურიდიო სწავლა განათლების მიღებაც შეეძლოთო და ამ აზრით განსაკუთრებული კომისია იქმნა არჩეული, რომელმაც უნდა შეიმუშავოს ეს საგანი და პროექტი შეადგინოს.

— ამ წლის აპრილის გასულს შემოღებულ იქმნება ყველგან ახალი საავთიაქო ნიხრი.

— რადგან საბეითლო ინსტიტუტის პირველ კურსზედ შესვლის სურვილს აცხადებენ არამც თუ გიმნაზიების მე-6 და 7 კლასის მოსწავლენი, არამედ გიმნაზიებსა და სასულიერო სემინარიებში სწავლა დამთავრებულნიც, ამიტომ საერო განათლების სამინისტრომ საჭიროდ იცნო იმ სასწავლებლების მოსწავლეთა გამოცდა ლათინურ ენაში, სადაც ამ ენას არ ასწავლიან და უნდა გამოიცადნენ გიმნაზიების ოთხ კლასის კურსის ცოდნაშიო.

— საკრედიტო ნაწილის განსაკუთრებულ კომისიას განზრახვა აქვს კერძო ბანკების on call'-ის ანგარიშებისა და საბანკო კანტორათა რევიზია დაიწყოს.

— მიწათ მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობენ, რომ კარგი იქმნება მომავალ ზაფხულს რამდენმამე მცოდნე კაცმა იმოგზაუროს ბ სოფლის მასწავლებლებს გააცნოს ის მცენარეულობა, რომელიც რუსეთში იზრდება და რომლისაგანაც წამლეულობა შეიძლება დამზადდესო.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს გამოსცეს განსაკუთრებული წიგნაკები და კედლის ნუსხანი მეურნეობისათვის მავნე მწერთა აღსაწერად.

# უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** სრული თხუთმეტი დღე გავიდა მას შემდეგ რაც ზოლას საქმის გარჩევა დაიწყო სენის ასისსთა სასამართლოში და ჯერაც არ დასრულებულა. ეს დრო მარტო მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევას მოანდომეს. როგორც გუშინდელი დეპეშა იუწყება, მხოლოდ დღეს უნდა დასრულდეს სასამართლოს კამათი, მაგრამ რამდენად გამართლდება ეს, ღმერთმა უწყის. შეიძლება ერთი კვირა კიდევ გავიდეს, ვიდრე სასამართლო განაჩენს გამოიტანს. წინადაც ესე ამბობდნენ, რომ საქმის გარჩევა მხოლოდ სამს დღეს გასტანსო, მაგრამ აგერ თხუთმეტი დღეც გავიდა და ჯერ არაფერია. არამც თუ მარტო პარიჟი და საფრანგეთი, მთელი ევროპა მოუთმენლად მოელის სასამართლოს განაჩენს. გაზეთები წინდა-წინვე სცდილობენ გამოიცნონ გაამართლებენ ზოლას თუ გაამტყუნებენ. უმეტესობა იმას გაიძახის, რომ ზოლას უეჭველად გაამტყუნებენო. ამ გაზეთების სიტყვით, ზოლას საქმის გარჩევამ ერთხელ კიდევ დაარწმუნა საფრანგეთი, რომ მოღალატე მხოლოდ დრეიფუსი იყო და არა ესტერგაზი, რომ სასამართლომ კანონიერად დასაჯა დრეიფუსი და გაამართლა უდანაშაულო ესტერგაზი და, მაშასადამე, ზოლას ამ საქმეში გარევა და მოღალატის გამოსარჩლება სულ მეტი და უადგილო იყოო. მაგრამ არის ბევრი ისეთი გაზეთიც, რომელიც სულ წინააღმდეგს ღაღადებს. მათის სიტყვით ზოლას საქმის გარჩევამ ბევრ ბნელსა და წყვდიადს მოჰფინა ნათელი. მთავრობისა და ჯარის წარმომადგენელნი, რომელნიც მოწმეთ იყვნენ დაბარებულნი, თუმცა მოხერხებულად იქცეოდნენ და ბევრს კითხვაზედ პასუხს არ იძლეოდნენ, არაფერი წამოგვცდესო, მაგრამ გამოცდილის ვექილების ლაბორისა და კლემანსოს წყალობით, ბევრი მაინც ისეთი რამ სთქვეს, რომელიც დრეიფუსს ამართლებსო. ასე თუ ისე, ზოლას საქმის გარჩევამაც ვერაფერი გაკეთა და ვერ გამოარკვია უმთავრესი: დრეიფუსი მართლა მოღალატე იყო, თუ ტყუილად და უდანაშაულოდ დასაჯა? ამიტომ, აშკარაა, სულ ერთია გაამართლებენ ზოლას თუ გაამტყუნებენ, დრეიფუსის საქმეს ამითი ბოლო არ მოეღება და ამ საქმით გამოწვეული ლაპარაკი და აურ-ზაური საფრანგეთში არ მოისპობა, არამც თუ მოისპობა, შეიძლება უფრო გაძლიერდეს და ისეთი შედეგი მოჰყვეს, რომელსაც ეხლა სრულებით არ მოელოდებიან. გაზეთების სიტყვით, საფრანგეთი ამ ჟამად სხვა აღარაფერზედ აღარა ჰფიქრობს, გარდა დრეიფუს-ესტერგაზი-ზოლასი. ასე გასინჯეთ ვაჭრობამაც-კი იგლო ამ საქმის გამო. გარეშე პოლიტიკა ხომ სრულიად აღარავის აგონდება. დილით საღამომდის პარიჟის ქუჩები აუარებელის ხალხით არის ხოლმე სავსე. ბრბო გავლა-გამოვლის ნებასაც-კი აღარავის აძლევს. იმოდენა ხალხი რაც ეხლა პარიჟშია მსოფლიო გამოფენების დროსაც-კი არა ყოფილა. ისე დღე არ გავა, რომ ზოლას მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის შეტაკება არ მოხდეს. აი, ასეთი ამბებია ამ ჟამად პარიჟში და რით დასრულდება ყველა ეს, მარტო ღმერთმა უწყის!

## გერმანელის მწერალის ბაუმგარტნერის აზრი ქართულ ლიტერატურის შესახებ.

„მსოფლიო ლიტერატურის ისტორია“, ალექს. ბაუმგარტნერისა, ტ. I. ფრეიბურგი, 1897 წ. (გერმანულს ენაზედ).

ჩვენ ამას წინად ნათქვამი გვქონდა, რომ გერმანულს ენაზედ ახლად გამოვიდა ალექს. ბაუმგარტნერის მიერ შედგენილი „მსოფლიო ლიტერატურის ისტორია“, რომელშიაც პატივცემული ავტორი ქართველთა და სომეხთა ლიტერატურის ისტორიასაც შეეხება. ამ ჯერობით ვთარგმნით სიტყვა სიტყვით იმას, რაც ქართულის მწერლობის შესახებ აქვს ნათქვამი, ხოლო შემდეგ იმ ნაწილსაც გავუზიარებთ ჩვენს მკითხველებს, რომელშიაც იგი სომხურს ლიტერატურას შეეხება. აი რასა სწერს ბ-ნი ბაუმგარტნერი ქართველთა ლიტერატურის შესახებ:

„ქართულს ლიტერატურას საფუძველი დაუდო თარგმანმა „დაბადებისამ“, მაგრამ ის-კი არავინ იცის, თუ ვინ გადმოთარგმნა იგი. ძალიან ადრე გადმოსთარგმნეს ბერძნულიდგან თხზულებანი წმიდათა ათანასესი, გრიგოლისა და იოანნე ღვთის-მეტყველისა. ღვთის-მეტყველების საფუძველი იყო წმ. იოანნე დამასკელის უმთავრესი თხზულება, ხოლო სამონასტრო ცხოვრებისა-კი — წმ. ვასილისა და იოანნე მწიგნობარის ნაწერები, რომელნიც არსებობდნენ ქართულად ნათარგმნი. ძველის ძველი სასულიერო ლიტერატურა ძალიან მდიდარია წმიდათა და წამებულთა ცხოვრების აღწერით. ამ აღწერას ისტორია უდევს სარჩულად და მართლაც საუცხოო ადგილებით არის სავსე. ამას ერთობა უშველებელი კრებულები წმიდათა ცხოვრების შესახებ, ქადაგებანი და თხზუ-

---

რათ გაჰბედე დედაკაცებზე მაგის თქმაო! ღმერთო! რაც ჩვენ იმ დღეს ვიცინეთ ბიჭებმა „კუხნაში“! გულიანი სიცილით ამობდა ჩხვინკა და სხვებსაც აცინებდა გულიანად და ალანძღვინებდა უწმაწური სიტყვებით „საბრალო“ პოლკოვნიკის ცოლს.

— მემრე, რა უთხრა თავპირ-გათუთქულმა თავის საყვარელს? — ჰკითხეს ჩხვინკას.

— ყველას წამალი მოთმინებაა და მეც უნდა მოვითმინოო, — ესა თქვა და წარბიც არ შაუხრია შხამის გუდა გააფთრებულ დედაკაცზე გასარისხებლად.

— ყოჩაღ კაცო! მართლაც რო ბრძენი ყოფილა. მემრე შარიგდნენ იგრევ, თუ...

— ბურბუშელასავით აპილპილებული პომპოლიკის ცოლი ბურბუშელასავითვე ჩაქრა დანდობილა, გოშიასავით დაუჩოქა საყვარელ კაცს და გულ-მდუღარე ქვითინით ევედრებოდა: მაპატიეო.

— ქმარმა იცოდა, რო ის კაცი იმის ცოლსა ჰყვარობდა?

— აკაშრად, თავის ხუთი თითივით.

— ფუ!.. თავს მთელი ქვეყნის ლაფიმც დაესხას აიგეთ ქმარს, რო ცოლის კუროს სადილებსაც კი აჭმევდა!.. მრისხანედ თვალების ბრიალით და ზიზღიან გამოფურთხვით წარმოსთქვეს აქეთ-იქიდგან.

— კაცებო! სმენა იყოს და გაგონება. მე, ძმავ, თქვენი ლაპარაკი როგორღაც არ მომწონს და ჭკვაში არ მომდის ზოგი ერთი თქვენი სიტყვა, რადგანაც ერთს კი ამობთ და მეორეს კი აღარ. მართალია, ზოგჯერ ქალებიც დედას ემგზავსებიან ნამუსით და შატა-ბუტა, აშაღლარა, მატრაბაზი, ცრუპენტელა, შალთაიბალთაი, ზრასტი-პრაშაი ქალებივით სუ სხვათა კაცებთან დაწრწიან და დააშლაპუნებენ მარტოკანი დღისითაც და ღამითაც, უპატრონო-ირაო ძროხასავით თავ-აღებულები, საბრალო მწყერ-ჩიტასავით კაცების სამარცხვინო მახეში გასაბმელად, მაგრამ ესაც მართალია, რო ბევრჯერ უნამუსო დედას-ანგელოზივით უმანკო, თავ-შენახული, დარბაისელი და ნამუსიანი ქალები ეყოლებაყე ქალწულობაშიაც და ქმრიანობაშიაც. კაცებო! ე რო სუ ი საწყალ, ყბათაღებულ ქალ-მანდილოსნების ძრახვაჰორვაში ხართ გულ-ღვარძლიანი ეშმაკებივით, რატო თქვენს გამჩენ ღმერთს არ შაჰხედავთყე და ამასაც არ იტყვით: ნუ მოვთხრით ბოლოკივით ძირიან-ფესვიანად იმ დედაკაცს, რომლის უნამუსო ქმარი ათას ლეჩაქ-მოხდილებთან დაეთრევა ხვადი ძაღლივით, და ათასი ხვეწნა-ტირილითაც რო ვეღარ მოურჯულებია ქმარი, თითონაც ქმრისგან გულ-მოკლულს, გაგიჟებულს და ბოღმით ჭკვა-გამოლეულს ნამუსზე ხელი აუღიაო. რას ამობთ, რას! ქმრის ღალატით გულ-გაგმირული დედაკაცი ყველა დანაშაულობას ჩაიდენს ჯავრის ამოსაყრელად. ი ვიღაც პომპოლიკის გამოსარსარაკებულ ცოლს რო მიწაში აძვრენთ ბოსტანა-ჭიასავით თავის პუჭპუჭებიანი კაბით და ზიზილ-პიპილოებიანი შლაპკით, ახლა ესაცა თქვით, თქვე უსამართლოებო, თუ დღევანდელი ზრასტი-პრაშაი კაცები რადა წყლისანი არიან-და!.. ვირმაც რო ქალურად ჩაიცვ-დაიხუროს ახალ-მოდაზე, უკანა ფეხებზე შადგეს, წელში აიმართოს ადამიანივით, ერთს წინა ფეხში ყაყაჩოსავით წითელი ქოლგა დაიჭიროს, და მეორე წინა ფეხი ხელივით დაუქნიოს დღევანდელ ზრასტი-პრაშაი კაცებს, იმ ქალურად ჩაცმულ ვირსაც-კი დამშეულ მგლებივით მიჰვარდებიან და სიყვარულს დაუწყობენ!.. აბა, მოდი ეხლა და გაამტყუნეთ აიმათთანა უნამუსო კაცების საბრალო ცოლები!.. არა, ძმავ, თუ გინდა, რო ცოლი ნამუსიანი გყავდეს, ჯერ თითონ შენ უნდა იყო ცოლიანობაში მაინც ნამუსიანი: ცოლის ერთგული, ცოლის მოსიყვარულე და პატივისმცემელი, თორე მე გიღალატებ, შხამს გასმევ, და შენ კი მიერთგულე და შარბათი მასვიო — ეს სადაური უღმერთობაა!.. ეს რატომაგეთი პროხო რუსობა და უნამუსობაა!..

— ნამდვილს ამობ, შენი გამჩენის ჭირიმე, სუდიავ, ნამდვილს! შენს ლაპარაკს ადამიანის გულ-გონებაზე მიუცხობელი ბზე და ბუქი არ ურევიაყე, შენი სამართლიანი სიტყვები სუ პიტალო ოქროსავით ჭკვა და სიბრძნეა, ადამიანის გულ-გონებაში სამახსოვროდ ჩასაბეჭდი, მე და ჩემა ღმერთმა!

— ეგე მაგეთი სწორე-ქრისტიანული სამართალი იცი ყე, სუდიავ, და ჩვენც აკი იმიტო დაგიმშვენეთ ე გულ-მკერდი მა ჯორინალივით გაპტყელებულ მეფრახით, — დიდად მოუწონეს ნათქვამი სოფლის სუდიას და რიხიანის ხმის გუგუნ-გრიალით შემოსძახეს ერთხმად:

მუმლი მუხასაო,
გარს ეხვეოდაო,
ემტერებოდაო,
ვვრას აკლებდაო,
მუმლი სწყდებოდაო,
მუხა რჩებოდაო,
უკვდავდებოდაო!..

სწორედ ამ დროს გამოჩნდა ხირსის ვენახებიდგან მომავალ, თავის სოფლელ მუშებთან ჩვენი სოსიაც, რომელიც — თავისს სოფელში რომ ვერ ეშოვნა სადღეობო ფული — სხვა სოფელში წავიდა ბედის საცდელად. სოსია და მისი თანასოფლელნი ძალიან დაფიქრებულნი და დაღონებულნი შესჩიოდნენ ერთმანერთს: დღეობისთვინ ღვინო არ გაგვაჩნიაო, დაფქული არა გვაქო, ფული ვერ ვიშოვნეთო და ბევრს სხვას. ყველანი დარდობდნენ, მაგრამ ყველაზედ მეტად დადარდიანებული სოსია იყო იმათში, რადგანაც სადღეობო ფული ვერ ეშოვნა და იცოდა: ამაღამ თავისი ენაგაალმასებული ცოლი-მარიამი ჯოჯოხეთის ცეცხლ-ნავთს აუნთებდა გულში და წისქვილის ქვებს აუბრუნებდა თავზე.

დ. მაჩხანელი

(შემდეგი იქმნება)

ლებანი ეკკლესიის ისტორიისა და სხვ.

„ქართველთა უუძველესს პოეზიას საეკკლესიო-სარწმუნოებრივი ხასიათი აქვს. წმიდათა მამათა შორის ბევრმა შესთხზა საეკკლესიო საგალობლები და ლექსები, რომელიც შემდეგ ერთიან კრებულებად შეერთდა. წირვის სრული წეს-რიგი შეადგინა დავით მე-III, მეფემ აღმაშენებელმა, რომელიც 1089 წელს ავიდა სამეფო ტახტზედ. წმ. გრიგოლ ნაზიანზელის საგალობლები სთარგმნა ბატონიშვილმა პეტრემ 105 იამბიკოიანის ლექსით. იოანე პეტრიწმ ლექსებით გემოვნებითა და უმეტ-მრავალ-სიტყვაობოდ შეაქო და ადიდა ქართველთა სხვა და-სხვა წმიდანი. სილამაზის მხრივ დიდად შეაქებს ბროსსე ზეაღფრთოვანებულს პოემას ღვთის-მშობლის შესახებ, პოემას, რომელიც თავისის უცხო-წყობილებით ვგონებთ მეტოქობას გაუწევს ისლანდიელების ღვთის-მშობლის შესახებს პოემებს. მეფე თეიმურაზ I-ლი სადა, ლამაზის ლექსით უგალობდა სიკვდილს თავისის დედის, დედოფალ ქეთევანისას, რომელმაც შაჰ-აბასის ხელით სარწმუნოებისათვის მოწამებრივის სიკვდილით დალია სული. უფრო მდარე გემოვნება ემჩნევა საპოეზიო სიტყვებში კათალიკოსს ანტონ პირველს.

„საერო პოეზია შემდეგში განვითარდა და სრულიად გაიფურჩქნა დიდებულის დედოფლის, მეფის გიორგის მე-III ასულის თამარის დროს. მისი პირველი ვეზირი და ხაზინადარი შოთა რუსთაველი, რომელსაც არა თუ აღმოსავლეთური, არამედ დასავლეთ-ევროპის განათლებაც-კი მიღებული ჰქონდა, იყო თამარის სეფე-პოეტი. როგორც გარდმოცემა ამბობს, ჭაბუკობის დროს მას, სხვათა შორის, ათინაშიაც უსწავლია. თავისის სიცოცხლის უკანასკნელს ხანს იგი გაგზავნილ იქმნა იერუსალიმს იქაურ ქართველთა ეკკლესიის შესაკეთებლად. იმისი პოემა „ვეფხის-ტყაოსანი“, რომანტიული ეპოსი, 1,500 ტაეპს შეიცავს, ხოლო პირველში ამდენი არა ყოფილა, ზოგიერთი სტრიქონები ჩაუმატებიათ ბატონიშვილებს დავითსა და თეიმურაზს დ შემდეგ ნანუჩა ციციშვილსაც საკმაო რიცხვი მიუმატებია“.

შემდეგ ავტორს მოთხრობილი აქვს „ვეფხის-ტყაოსნის“ შინაარსი, მოჰყავს ზოგიერთი ადგილები ამ პოემისა, ლექსად თარგმნილი დ შოთა რუსთაველზე კარგა გძლად ჰლაპარაკობს. აღწერას როსტევანისა და ავთანდილის ნადირობისას ავტორი დიდის ქებით იხსენიებს, უბრწყინვალესი რამ არისო, და ბოლოს დასძენს: „ვთქვათ, ეს ზოგჯერ გულ-უბრყვილო ამბები მოთხრობილია შიგა-და-შიგ გადაჭარბებით განდიდებულად, როგორც აღმოსავლეთლებმა იციან, ხოლო მთელი „ვეფხვის ტყაოსანი“ დიდებული რამ არის. დიდის განსჯით მოფიქრებული და მრავალ-მნიშვნელოვანი ეროვნული ბეჭედი აზის. სიტყვა მისი თითქმის ყველგან მარტივია და ბუნებრივი, ენა მდიდარია და ლამაზიო.

„იმავე დიდებულის დედოფლის თამარის დროს იმისს სასახლეში სცხოვრობდნენ პოეტნი შავთელი და ჩახრუხაძე. შავთელი, რომელიც ერთს დროს დედოფლის ვეზირიც იყო და მდივან-ბეგიც, ბერობაში გარდაიცვალა გელათის მონასტერში, ჩახრუხაძე-კი ერთი დიდად საპატიო კარის-კაცთაგანი იყო. ორივენი ქება-ქებას უძღვნიდნენ თავისს ღირსეულს მფარველ-მწყალობელს დიდროვნის პოემებით, რომელნიც პოეტიურის შინაარსითაცა და გარეგანის მშვენებითაც დიდად მოსწონდა ხალხს.

„მეფე არჩილ მე-III-ის ნაწერები-კი უფრო ბოლოს დროს ეკუთვნის. ამ წიგნში მოხსენებულია თოთხმეტი პოეტი და პოემა, რომელთა შესახებაც სხვა ცნობა არა მოიპოვება-რა და რომელნიც უეჭველია თამარის დროსვე იქნებოდნენ. მათ შორის ირიცხება „ვისრამიანი“, ესე იგი ქართულად ნათარგმნი ძველი სპარსული რომანი „ვისი და რამინი“, და „როსტომიანი“, რომელიც უთუოდ გადმოკეთებული იქნებოდა სპარსელთა რუსტემის შესახების თქმულებათაგან. „ბარამიანში“ შეხვდებით სპარსთა მეფეს ბარამ გურს და „ომაიანში“—დედოფალს გომაის, რომელიც „შაჰნამე“-შია აწერილი. ეჭვი არ არის, რომ სპარსულს „შაჰნამე“-ს შეუხწევია საქართველოში და მისი ცალკე ნაწილები განსაკუთრებულ პოემებად გარდაუკეთებიათ.

„მონგოლთა საშინელ თავ-დასხმის დროს საქართველოს გონებრივად განვითარება, რასაკვირველია, დიდის ხნით შეჩერდა. სრულიად მაინც არ ჩამქრალა არც გონებრივი მოძრაობა და არც საეკკლესიო ცხოვრება, იმ გარემოების მიუხედავად, რომ ქართველთა ზოგიერთმა მეფემ მაჰმადიანობა მიიღო და ამითი თავისს ქვეშევრდომთა ცხოვრება დიდად გაჭირვებულს მდგომარეობაში ჩააგდეს.

„ეროვნულის ცხოვრებისა და ლიტერატურის განახლების ხანა დადგა მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისს მეფე ვახტანგ მე-VI-ის დროს. მრავალი ძველი საერო და სასულიერო ლიტერატურის ნაწარმოები ამ მეფის დროს დაიბეჭდა და იმასთან ერთად ახალის ცხოვრების სიომ დაჰბერა, ახალნი სულთასწრაფვანი გაჩნდა.

„საკმაოდ უცნაური ნაწარმოები ამ დაუდგრომელის დრო-ჟამისა „გურამიანია“. დავით გურამიშვილის ეს ლექსთა კრებული წარმოადგენს უშველებელს ნარევს 7,000—8,000 ლექსისას, რომელშიაც პოეტს შეუკრებია ყველა თავისი აზრი და ცოდნა. შიგა-და-შიგ შეხვდებით ფილოსოფიურს მსჯელობას, ზნეობრივს სენტენციებს, ლოცვებს, ისტორიას, თანამედროვე ამბავ-გარემოებას, თვით ავტორის თავ-გადასავალს, სამხიარულო ლექსებს, სარწმუნოებრივს საგალობლებს, ყოველ გვარ სახის ლექსს, რომელიც-კი საქართველოში იხმარება, და სხ., ერთის სიტყვით, იგი ენციკლოპედიაა და შიგ ცოტად თუ ბევრად აღნიშნულია განათლების ავ-კარგიანობა, რომელშიაც მაშინდელი თავად-აზნაურობა იმყოფებოდა. ძალიან საინტერესოა და საყურადღებო მის მიერ მოთხრობილი საპოლიტიკო და ბრძოლის ამბები, რომელშიაც თვით ავტორს მიუღია მონაწილეობა.

„მეცხრამეტე საუკუნეში რუსეთის ლიტერატურას დიდი გავლენა ჰქონდა ქართველთა გონებრივს ცხოვრებაზედ. როგორც წინად სპარსულ თხზულებათ სთარგმნიდნენ, ეხლა ევროპიულ ლიტერატურის თარგმნა დაიწყეს და ბაირონსაც-კი გამოუჩნდა მიმბაძველი ქართველ პოეტთა შორის.

„გიორგი ერისთავი და აკაკი წერეთელი თავისის თხზულებანით ხელს უწყობდნენ ქართულის თეატრის დაარსებას არა თუ უცხო-ქვეყნის დრამატიულ ნაწარმოებთა თარგმანით, არამედ ადგილობრივის ცხოვრებიდგან აღებულ პიესების დაწერითაც. იმათთან და ცაგარელთან ერთად თავი იჩინეს აწინდელის რომანის შემქმნელთაც. ქართველთა ლირიკა ძალიან მდიდარია და დიდად კეთილ-ხმოვანიც არის, მაგრამ ვგონებთ ეროტიული ლირიკა, გალობა სიყვარულისა უფრო სჭარბობს. გაზეთის ყოველს ნომერში შეხვდებით ლირიკულს ლექსს. ყველაზედ თვალ-საჩინო და წარჩინებული პოეტები არიან: გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვახტანგ ორბელიანი, რაფიელ ერისთავი, რაზიკაშვილი და გურიელი. ახალი ქართული ლიტერატურა დიდრონ ეპიკურ ქმნილებამდის ჯერ არ მისულა“.

## ნაკვესი

— ამ ბატონს არ იცნობთ, ნეტა ვინ არის.

— როგორ არა, ვიცნობ... მშრომელია ბეჭდვისა... ხშირად მთელს დღესა სწერს... მის მიერ აწერილი ცოტად თუ ბევრად ძვირფასია... უყვარს ბეჭდვა და ბევრსაცა ჰბეჭდავს, მცოდნე კაცია, ყველაფრის ფასი იცის, თუმცა ძალიან მცირედ აფასებს... ხშირად ერთს მთელს ჟურნალს არდგენს... ყელზედ ჯაჭვს ატარებს.

— არაფერი მესმის-რა, მაინც რა კაცია?

— სასამართლოს ბოქაულია.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამსტერდამის თეატრში ეხლახან წარმოადგინეს ახალი პიესა, „დრეიფუსი, ანუ წამებული კაცი ეშმაკის კუნძულზედ“. ამ პიესის მომქმედნი ეხლანდელი მოღვაწენი არიან საფრანგეთისა, მაგალითად, საფრანგეთის სამხედრო მინისტრად ნამყოფი გენერალი მერსიე, საფრანგეთის მთავარის შტაბის უფროსი გენერალი ბუადეფრი, პოლკოვნიკი პატი დიუ-კლამი, მაიორი ესტერგაზი და სხვ. პიესა იმით არის საყურადღებო, რომ ამ მელოდრამის დასასრული ყოველ წარმოდგენის დროს იცვლება ხოლმე. პირველად რომ წარმოადგინეს ეს პიესა, მაშინ იმ წერილის კითხვით თავდებოდა, რომელიც მიუწერია ქ-ნ დრეიფუსისას პაპისათვის. ერთის დღის შემდეგ ავტორმა პიესის დასასრული იმით შესცვალა, რომ ჩაუმატა ახალი სცენა, რომელიც ვიღაც „პირ-რიდე ჩამოფარებულ“ ქალს შეეხება. ამ გვარად იცვლება ხოლმე უკანასკნელი სცენა ამ პიესისა ახლად მიღებულ დეპეშების შესახებ. ამ გვარად თეატრში დამსწრე საზოგადოებას შეუძლიან ამ პიესის წყალობით შეიტყოს ხოლმე, როგორ მიდის პარიჟში დრეიფუსის საქმე. საყურადღებოა, რომ ჰოლანდიის სატახტო ქალაქის გაგის მოურავს ბ-ნ ჟონკიერ დე-ბოფორს აუკრძალავს ამ ქალაქში ამ პიესის წარმოდგენა. ასეთმა განკარგულებამ, რომელიც არას დროს არ მომხდარა ნიდერლანდებში, ძლიერ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ნიდერლანდების გაზეთებისა. ჯერ იფიქრეს, რომ ამ პიესის აკრძალვა საფრანგეთის ელჩის გრაფის დე-სეგიურის ბრალიაო, მაგრამ ეს მართალი არ გამოდგა, რადგანაც ყოვლად გაუგებარი იყო, რად არ იქმნა აკრძალული ამ პიესის წარმოდგენა ქ. ამსტერდამში. მას შემდეგ, რაც ქ. გაგაში აკრძალულ იქმნა ეს პიესა, ამსტერდამში პიესის წარმოდგენას უფრო მეტი ხალხი ესწრება. რეკლამის გულისათვის გაავრცელეს ხმა, ვითომ ამ პიესის ერთს წარმოდგენას დრეიფუსის ცოლიც დაესწროო. ამბობენ აგრედვე, რომ ეს პიესა უკვე გადაუთარგმნიათ ფრანგულ ენაზედ და მალე წარმოადგენენ პარიჟის ერთს თეატრშიო.

* * *

ეხლანდელ ველოსიპედებით შესაძლებელი უნდა იყოს კაცმა საათში 40, 50 და 60 ვერსიც გაიაროს, რომ ველოსიპედზე მჯდომ კაცს ჰაერი არ უშლიდეს ხელსა. უფრო ძნელი მაშინ არის ასეთის სიჩქარით სიარული ველოსიპედით, თუ ქარი უბერავს. ერთს კაცს, გვარად დემონჟს, ველოსიპედის თვლებისათვის გაუკეთებია ფრთები, რომლის შემწეობითაც ველოსიპედი უფრო ჩქარა დადის, რადგანაც ქარი ჰშველის მას. თუ ქარი ველოსიპედს უკანიდგან ან გვერდიდგან უბერავს, მაშინ ხომ ადვილად წარმოსადგენია, რომ ველოსიპედის ჩქარს სიარულსა ჰშველოდეს, მაგრამ ფრთები ისეა გამართული, რომ თუ ქარი წინიდგან უბერავს, მაინც ფრთებს ატრიალებს და ამის გამო ველოსიპედის თვლებიცა ტრიალებს და წინ მიდის. რომელი პირიდგანაც უნდა უბერავდეს ქარი, ველოსიპედის თვლებს ატრიალებს და ზედ მჯდომ კაცს უადვილდება სიარული.

## ახალი წიგნები

ჩვენ მივიღეთ სამი ახალი წიგნი, გამოცემული „გლეხის“ საზოგადოებისაგან: „გერმანელები“, თარგმანი შ. ფრონელისა ფ. 30 კ., „ინგლისელები“, ფ. 40 კ. თარ. ა. ნიკიტინისა და „იტალიელები“ ფ. 30 კ. თარგმანი ზ. ედილასი. სამივე ეს წიგნი ნათარგმნია ე. ვოდოვოზოვის წიგნებიდგან და საგნად აქვს გააცნონ მკითხველი ევროპის ხალხების ყოფა-ცხოვრებას. წიგნები სუფთად არის გამოცემული და დასურათებული.

—

„ლექსები“, თქმული სიმონ მაისაშვილისაგან, გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა ფასი 10 კაპ. ეს ავტორი, როგორც თითონვე ამბობს,

„მეძექსუა ერთი მუშა,
სკოლის კარი არ უნახავს,
მისთვის იგი დაიფუშა“.

რას ჰნიშნავს ეს მისი „დაფუშვა“, ვერ მივხვდით.

—

„წყარო“, წიგნი მეორე, სკოლებში და ოჯახებში საკითხავი, შედგენილი ა. ქუთათელაძის მიერ. ეს წიგნი იმდენად საყურადღებოდ მიგვაჩნია, რომ ცალკე წერილს ვუძღვნით.

### გამოსადეგი ცნობა

ზოგსა ჰგონია, რომ ზამთარში კარგია ქათმებს ცხელი საჭმელი აჭამოთ, რომ კვერცხსა სდებდესო. ზოგი კიდევ წიწაკის თესლს აჭმევს ქათმებს. არც ერთი და არც მეორე კარგი არ არის, რადგანაც ორისავე საჭმლის გამო ქათამი ხურდება და მერე ადვილად ცვდება.

### წერილი რედაქციის მიმართ

მადლობას ვუცხადებ ოზურგეთის საქალებო სკოლის სამზრუნველო კომიტეტის მინდობილობით თ. ვარდენ გურიელს, რომელმაც ჩვენს სასწავლებელს შემოსწირა 25 მანეთი 5 ღარიბის ბავშვის სწავლის ფულის გარდასახდელად და თ. ვარლამ ერისთავს, რომელმაც იმავე აზრით შემოსწირა 5 მანეთი. სასიამოვნოდ მიმაჩნია ამ მონდობილების შესრულება და სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ამ კეთილს მაგალითს წაჰბაძავენ სხვანიც, რომელნიც თანაუგრძნობენ დედათა შორის სწავლა-განათლების გავრცელებას და ოდნავ მაინც შეუმსუბუქებენ საქმეს პატარა ქალაქის საქველმოქმედო საზოგადოებას, რომელიც ინახავს სასწავლებელს, სადაც წელიწადში 100 ქალზედ მეტი სწავლობს.

სამზრუნველო კომიტეტის მდივანი
მ. თუმანიშვილი


## განცხადებანი

## ვყიდულობ

ყოველ გვარს ძველებურს ნივთებს სპილენძისასა, თითბრისასა, ვერცხლისასა, ოქროსასა, ძველთა დროს ხელოვნურად მინანქრით ნამუშევარა და აგრეთვე ოქრომკედით ნაკერუელობასა.

ფოტოგრაფი ა. ს. როინაშვილი.

(წ.)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . | „ | 40 |
| ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფასი . . . . | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ქ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| კეთილი ძაღლი . . . . | „ | 20 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჰყონიასი . . . . | 1 | 50 |
| ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია | „ | 20 |
| აკაკი წერეთელი. ბიოგრაფია . . . | „ | 15 |
| ამირან-დარეჯანიანი . | 1 | „ |
| ჩვენი ახალი მწერლობა სალარაძისა . . . , | „ | 40 |
| ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა . . | „ | 60 |
| გედები. საყმაწვილო წიგნი | „ | 20 |
| პარტახი მოთ. ნინოშვილისა . . . . . | „ | 20 |
| ორი ეტიუდი . . . . . | „ | 20 |
| როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად . . | „ | 25 |
| სახალხო ლექსები და ლეგენდები . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | „ |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსსესი . . . . | „ | 70 |


Дозволено цензурою, Тифлисъ 10-го Февраля 1898 г.     სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.     რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.